985ვ.

№ 19 ფასი 15 მანეთი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

# „თეატრი და ცხოვრება"

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 250 მან. თითო ნომერი—15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის № 20 ქართ. ბეჭდვითი ამხ. სტამბაში, რუსთ. № 26 ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრიდა "ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. ოთხშაბათი, მაისის 26 გამოცემა 1920 წ.

## საქართველოს დამოუკიდებლობის ორის წლის შესრულების სახსოვრად



### ნოე ნიკოლოზის-ძე ჟორდანია

მთავრობის თავმჯდომარე.

(ნახატი კ. ქავთარაძისა)

985ვ.ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სადღეისო

იქ, საცა ხელოვნება არ არის, არც სიცოცხლეა და საცა სიცოცხლე არ არის—არც ხელოვნებაა.

უხელოვნო გული და უგულო ხელოვნება მკვდარია.

რუსეთის თვითმპყრობელნი და მისი ხელქვეითი მოხელენი ყველა ამას, ალბად, კარგად გრძნობდენ, რომ მთელი ასჩვიდმეტი წლის განმავლობაში მშობლიურ ხელოვნებას გვიქცევდენ და ეროვნულ გულის ცემას გვიჩლუნგებდენ.

მაგრამ უსამართლობის ფიალა აივსო, მოხდა უდიდესი ამბავი: რევოლიუციამ დაამხო ძველი უკულმართი წესწყობილება და ჩვენი სამშობლოც განთავისუფლდა ოროთავიან არწივის კლანჭებისგან.

დღეს ორი წელიწადია ამ თავისუფლებით ვხარობთ.

მართალია, შეიძლება ბევრს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ამ თავისუფლების სიტკბოება, ვერ დაუფასებია ეს დიადი ისტორიული მოვლენა, მაგრამ ამით გული არ უნდა გავიტეხოთ! ორმოში ხანგრძლივ მწყვდეული რომ უცებ სინათლეზედ ამოსოთ, მზის სხივებს თვალებს ვერ გაუსწორებს, მაგრამ განა ამითი მზე დაიგმობა!?

არა.

ისიც მართალია, რომ, შეიძლება, არა ერთი და ორი უკულმართი გზას გვიბორკავდეს, თავისუფლებას გვილახავდეს, სხვა და სხვა ხერხით ცდილობდეს ჩვენს დალუპვას—უსუსური ხართ, წელში ვერ გამართულხართ, რა შეგიძლიანთო,—მაგრამ ბავშვი რომ იბადება, განა უცებ ვაჟკაცდება, დრო-ხანი არ უნდა! ან ვინ ეტყვის —უსუსური ხარ, უნდა მოკვდეო!

და არც ჩვენ მოკვდებით!

საქართველოს ნამდვილმა პატრონმა—ხალხმა გაიღვიძა და თავის სამშობლოს თავისუფლებას იცავს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საკუთარი სისხლით!

ქართველ მეომარში უკვე გაიღვიძა მამა-პაპათა სულმა! და იგი თვისი გუთნით და ხმლით ჰქმნის სამშობლოს უკვდავების უკვდავ ლეგენდებს!..

დღეს ამაშია ჩაბმული ხალხის მესვეური რჩეული თაობა; დღეს ამ გზას მისდევს ყველა მამულიშვილი მეომარი და ამავე კვალზე მიემართება ყოველი ახალგაზდა —ქალი და კაცი...

მაგრამ გაოეშე ხელოვნებისა მაინც მკვდარია გუთნის ბზინვა და ხმლის პრიალი!

ჩვენი ხანის, ჩვენი დროის ბრწყინვალება ყველაზე უმეტესად ხელოვანთ უნდა გაიცადონ და სულსა ერისასა უმკურნალონ!

და ოდეს ყოველი დარგის ხელოვანნი ყოველგვარ მუშაკთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მხარ-ჩაუკეცავად ვიმუშავებთ, მაშინ ერთსა და ორს მაისის 26-ს კი არ ვიდღესასწაულებთ, არამედ ასეულსა და ათასეულს!..

მაისის 26—დღე ჩვენის თავისუფლებისა და სამშობლოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა—ყველას გულში აღგვენთო და მას თავცოცხლივ ალარავის დავუთმობთ!

გაუმარჯოს მაისის 26-ს!



გ. ერისთავი (1811-1864)



დ. ყიფიანი (1814-1887)



ი. კერესელიძე (1827-1892)

# დემოკრატია და ხელოვნება

თითოეულ ხანას აქვს თავისი ელფერი. თითოეულ ხანას ახასიათებს თავისი სულისკვეთება. ხელოვნება არის სარკე, რომელიც წარუდგენს საზოგადოებას ისტორიული ხანის მისწრაფებას და მიდრეკილებას.

ხელოვნება არ არის დამოუკიდებელი, განყენებული. საფრანგეთის ხელოვნება მე VXIII საუკუნეში, აღოცენებული ვერსალის ბრწყინვალე სასახლეში, ემსახურებოდა განებივრებულ, ფაქიზ მეფის სასახლის კარის კაცებს. ხელოვნების დანიშნულება იყო დატკბო და ესიამოვნებინა გახრწნილი გარყვნილი გემოვნება დაბერებული, თითქმის მოცვალებული ბრწყინვალე თავად-აზნაურობისა ფუფუნება, ვარდის ფეროვანი ლაჟვარდი თავს დაჰურებ და მომაკვდავ, მაგრამ ჯერ კიდევ ბრწყინვალე წოდებას.

საშუალო საუკუნეების ხელოვნება! საშუალო საუკუნეების კათოლიკეთა ეკლესია აღიარებს აქაურ ცხოვრებას ბოროტებად. ადამიანი უნდა განშორდეს ამ ცხოვრებას; ადამიანის გულის ძგერა, ცნება და მისწრაფება ბოროტებაა. შორს ამ ბოროტებასაგან მონასტერი, დაყუდებული ლოცვა, მუდმივი გოდება, აი, გზა ცხოვრებისა და ბოროტებისაგან ხსნისა. ამ დიად მოთხოვნილებას გასცა პასუხი ხელოვნებამ. დაღვრემილი, შეწუხებული სახე, მუქი საღებავი, გლოვა,—აი მხატვრობის შინაარსი.

დემოკრატიის სამეფო! დემოკრატია მმართველი, დემოკრატია კანონმდებელი,—აი დღევანდელი საქართველო. 26 მაისი არის დღესასწაული, შექმნილი საქართველოს მშრომელის მიერ. მშრომელის სულის კვეთება ასულდგმულებს მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს.

ხელოვნებაც უნდა წარსდგეს პირისპირ და გაუწიოს სამსახური დემოკრატიას. დემოკრატია, მისი დიადი ვნება, მისი დიადი სულის კვეთება,—აი ხელოვნების ნიადაგი. ამ ნიადაგზედ უნდა მოიქარგოს დიადი სურათები. ხელოვნება დღემდის ემსახურებოდა და გუნდრუკს უკმევდა ცხოვრების ბატონს, დღეს ბატონ პატრონი არის დემოკრატია, აღჭურვილი და გამსჭვალული დიდებული ცნებებით. საქართველოს ხელოვნება, დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნება იქნება დემოკრატიის ქმნილება. ისტორიული კანონი უნდა ასრულდეს.

ხელოვნების ქურუმი არისტოკრატიული პარნასიდან დაეშვება დემოკრატიულ პარნასზედ, რათა უბრწყინვალეს პარნასამდე ავიდეს, რომლის უმშვენიერესი და ულამაზესი შეუძლებელი არის.

ს. ავალიანი.



ილია
(1837—1907)



აკაკი
(1840—1915)



ვაჟა
(1862—1915)

სამშობლოს თავისუფლებისათვის მუდამ ჟამ ტკბილად მომღერალნო სულმნათნო!

გიხაროდენ!

ავისრულდათ ის, რასაც სიყრმიდან გრძნობა-გონებით ეტრფოდით:

ჩვენი ტანჯული ერის თავისუფლება.

უმაღლესი ღირებულება და უმაღლესი ნეტარება.

როგორადაც თვით სიცოცხლე.

როგორადაც გაცხოველების მზის სითბო და სინათლე.

როგორადაც სამშობლოს ტკბილი ბუნების ალერსი და ნანინ.

როგორადაც ჩვენი სიყვარული და სიხარული.

ამ ნეტარების განცდის დროს მადლიერი ერი სიხარულით შესცქერის თქვენს დიდებულ სახეთა ხატებას და სასოებით იზიარებს იმ უკვდავებას, რომელიც თქვენმა მადლიანმა კალამმა მოჰფინა ქართლოსიანთა ტომს

იგი თაყვანსა სცემს თქვენს დიდებულ სახელთ და განურჩევლად სქესისა და მ მართულები ა ფიცსა სდებს თქვენის ხსოვნისდა ღირსეულად მთელის თვის ს არსებით მუდამჟამ ფხიზელ დარაჯად თავს ადგეს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებელს არსებობას.

საუკუნო და ნეტარი ხსენება სამშობლოს თვის თავ დადებულ გმირებს, რომელნიც უკვე ღირსეულად ეზიარნენ, სულმნათნო, თქვენს უკვდავებას!

გიხაროდენ! **ივანე ელიაშვილი**



შოთა

# სახალხო თეატრის მნიშვნელობა

## საქართველოს დამოუკიდებლობისათვის

ასოცი წლის წინეთ საქართველოს თავისუფლება ყაჩაღურად წაართვეს, ხელებზე ხუნდები დაადვეს და ბაგე ბოქლომით გადაურაზეს.

შესწყდა ეროვნული სიცოცხლის მაჯის ცემა და მიჯაჭვული ამირანის გმინვაღა ისმოდა.

უცხო, ტლანქი ძალა მაჯლაჯუნასავით დააწვა ქართველი ხალხის გულს და სულს უხუთავდა. და რომ სულ მოესპოთ ჩვენში ეროვნული სულის კვეთება, მისი მისწრაფება თავისუფლების დაბრუნებისადმი, საჭირო შეიქნა ჩვენი გადარჯულება, დამახინჯება, ენისა და ზნე ჩვეულების მოსპობა.

მოგვესპო ყოველგვარი სალსარი თვითმოქმედებისა, ეროვნულ სწავლა-განათლებისა და თვით ქართულად ლაპარაკისაც.

ამ აუჯანელმა და შავბნელმა დრომ ათქმევინა ჩვენს სულმნათ აკაკის:

„ჩვენებურ ჰანგზე მოვმართეთ ჩანგი.
გადმოაკეთეთ ჩვენი ხმებიო
და ვეიგალობეთ ქებათა-ქება,
ჩვენ ბატონი ვართ და თქვენ ყმებიო!“

მართლაც მიაღწია მიზანს ჩვენი ვერაგი ბატონების შავბნელმა მუშაობამ:

ხალხი უმეცრებამ და გულგრილობამ შეიპყრო, ჩვენი ახალგაზრდობა გადაგვარების გზას დაადგა და ქართველი ხალხის ცხოვრება ჭაობს დაემსგავსა. ხალხის ფართო მასსაში თითქოს სამუდამოდ მოკვდა მისწრაფება ეროვნულ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი.

მაგრამ გამოჩნდნენ რჩეულნი ქართველნი, რომელნიც კარგად ხედავდნენ, თუ რა ყოფაში იყო ჩაგდებული ჩვენი ერი და რა მოუვიდოდა მას, თუ ის მდგომარეობა გაუგრძელდებოდა. სცადეს ხმის ამაღლება, მოიწადინეს ეთქვათ ერისათვის სიმართლე და ჭეშმარიტება. მისი მიხუჭული თვალი ეროვნული თვითშეგნებისა. მაგრამ ძლიერმა ბატონმა მყისვე ჩაუხშო მათ სიტყვა პათქმელი!

სცადეს მწერლობით მაინც გაეგებინებინათ თანამოძმეთათვის ყოველივე, მაგრამ წყეული „ცენზმეისტერი“ შეუბრალებლად ანადგურებდა მათ ნაშრომს და ხალხის ყურამდის ვეღარ აღწევდა სისხლ-ცრემლით შეზავებული ძახილი ქვეყნის მოჭირნახულეთა.

და გამართლდა თქმულება: „გაჭირვება მოგიგონე, გაქცევას გიჩვენებო“, —ჩვენმა მოღვაწეებმა მონახეს საშუალება ხალხთან საბაასოდ, გამონახეს გზა მისი მიყუჩებული ეროვნული გრძნობისაკენ.

**ეს გზა, ეს საშუალება იყო სახალხო სცენა, სახალხო თეატრი.**

ხალხმა სცენის საშუალებით გაიგონა ამბავი ჩვენი ქვეყნისა, აქ იგრძნო მან სიბეჩავე თავისი მდგომარეობისა, აქ ესმოდა მას ქართული ცოცხალი სიტყვა, ქართული აზრი.

ჩვენი ხალხი ინსტინქტით მიხვდა თეატრის მნიშვნელობას ჩვენში და მიესია მას, შეიყვარა სულით და გულით. არც მოსტყუვდა! თანდათან გაიღვიძა მასში მიძინებულმა გრძნობებმა, ეროვნულმა თავმოყვარეობამ, თანდათან შეეჩვია ფიქრს და აზროვნებას თავისი ქვეყნის ბედიღბალზე. სახალხო სცენამ მოამზადა ნიადაგი დიდი მოძრაობისათვის და ასპარეზი გაუშალა უახლოესი თაობის დემოკრატიის სარბიელზე ფართო მუშაობას.—

ყველამ უწყის, რომ უკანასკნელი 30 წლის მოძრაობას მხარში უდგა სახალხო თეატრი და იგი ერთი უმთავრესი იარაღია ახალი აზრების გავრცელებისა და გრძნობათა გაღვიძებისათვის.

და იმ გამარჯვებაში, რომელიც მოიპოვა ქართველმა ერმა 26 მაისს, ჩვენს სახალხო თეატრს უდიდესი წილი უდევს, რომელსაც არავინ არ უარჰყოფს.

ამიტომაც არის, რომ ჩვენი ხალხი დღეს ასეთი სიყვარულით ეპყრობა მას, რომ ასეთის გულმოდგინებით

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუშაობს ჩვენი ახალთაობა ამ ტაძარში. კარგად იცის მან, რომ ამ გზით შეიძლება გაღრმავება იმ შეგნების, რომელიც აღუძრა სახალხო სცენამ ქართველ ხალხს, რომ იგი ითამაშებს დიდ როლს მომავალშიაც.

და მართლაც, თუ წარსულში ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო სცენას ჩვენში, არა ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა მას დღეს, როდესაც გვჭირდება მთელი ჩვენი ენერგიის გამოჩენა მოპოებულ გამარჯვების და თავისუფლების შესანარჩუნებლად.

ერთად ერთი საწინდარი ჩვენი გამარჯვებისა მომავალში არის შეგნება და კულტურული განვითარება ჩვენი ხალხის, რომელიც საკმაოდ ჩამორჩენილია ძველი ბატონების ძალადობის მეოხებით.

უძლეველია ერი, რაც უნდა პატარა იყოს იგი, თუ მასში ძლიერია ეროვნული თავისუფლების შეგნება და თავმოყვარეობა.

და თუ გვინდა, რომ ვსძლიოთ ყოველგვარ ხიფათს მომავალში, უნდა ყოველი საშუალებით ავამაღლოთ ეს შეგნება, გავუღვიძოთ ხალხს ძლიერი და კეთილშობილური გრძნობა ეროვნული თავმოყვარეობისა.

ამისთვის კი ერთი ძლიერი იარაღთაგანია სახალხო თეატრი და ჩვენც ეს იარაღი ჯეროვანად უნდა გამოვიყენოთ, მარჯვედ უნდა ვიხმაროთ, ვით ბასრი ხმალი

თავისუფალ საქართველოში თავისუფალ სახალხო თეატრს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე იყო უწინ: იგი არის უდიდესი ფაქტორი ჩვენი ხალხის კულტურული, გონებრივი და სულიერი აღზრდისა.

ამიტომ გვიყვარს ჩვენ იგი, ამიტომ ვევლებით თავს, ამიტომ ვსწირავთ მას ჩვენს ძალღონეს და კვლავაც შევსწირავთ!

ვისაც ძალღონე შესწევს, ვისაც გული უძგერს ჩვენი ერის გათვითცნობიერებისათვის, ყველა უნდა შემოკრბეს სახალხო თეატრის გარშემო და ხელი მოჰკიდოს ჩვენი ცხოვრების გზის მანათობელ ლამპარს!

**გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!**

**გაუმარჯოს ჩვენს სახალხო თეატრს!**

ქიათურელი მოკეთე





ლ. დარჩიაშვილი



ივ. გომართელი



აკ. ჩხენკელი



არ. ჯორჯაძე

## 26 მაისი

(საქ. დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსაგონებლათ)

მუქურამ მუქი მოფინა
და იალონმა ანათა,
მზემ უთვალავი სხივები
აფრქვია მთათ და ბართა.
ღამის გუმაკმა ქათქათი
მზეს შეუერთა ძმურათა,
დიად ჩირაღდნით ქცეული
ნათელს ჰფენს ამაყურათა.
ზეიმობს მთელი ბუნება,
ქართველთა მთა და ბარია...
მტერს შხამი ახჩობს, ბოღმა ჰკლავს,
მარა რა ჩემი ბრალია.
დავითი აღმაშენებლობს,
თამარ კეკლუცობს ნაზათა,
დავით სოსლანი მეჯლიშობს,
რა შვენის? რა ლამაზათა?
შოთა რითმაობს, გორგასლანს
ხელს შუბი დაუჭერია...
ბაყათარ პირქვე აგდია,
შუბის წვერს გაუგმირია.
ქართველი ისევ ქართველობს,
თავის თავისა პატრონი,
სხვას არ ჰბატონობს, არც უნდა
სხვა ჰყავდეს ვინმე ბატონი.
ქართველი ჭირის და ლხინის
ათასჯერ განაცადია...
შარავანდედით შემოსავს
თავის სამშობლოს—ცხადია.
მაშ ყანწი ხელში, ქართველო,
აზარფეშა და ბადია...
მტრის მუსრვა, მეჯლისში ლხინი
ქართველთა დანაბადია.

რ. საჯავახოელი

# ობოლი მგზავრის ფიქრებიდან

(მ ო გ ო ნ ე ბ ა)

26 მ ა ი ს ი

„მე შენით ვცხოვრობ, შენთან
მოვკვდები;
მონა ვარ შენი სიყვარულისა."

ბერანჟე

ათი წლის წინედ... შავ-ბნელ ხანაში... ახლო წარსულში, როცა აზრი ტყვედ იყო ჩავარდნილი, ჩვენ იქ ვისხედით...

ზაფხულის მოწმენდილი დილა იყო, მზემ თავისი მაცოცხლებელი სხივებით ქვეყანას გადმოხედა და ჩვენს მოწყენილ საკანში მკრთალად შემოანათა...

— როდის დავსტკბებით ზაფხულის მშვენიერებით, როდის გავხდებით ღირსნი, რომ მშობლიური ქვეყანა გვეამბოროს, მივილოს; არ ვიტანჯოთ ამ სოფელში?

დაღონებული სახით შეგვეკითხა ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგი.

ჩვენ ვსდუმდით. პასუხი არ გაგვიცია...

იგი ბედკრული დაიღუპა...

შორეულ ციმბირის მიდამოებში დაიმარხა... თან წაიღო თავისი ფიქრი, ოცნება და ღირსი არ გახდა თავის ქვეყნის გულში ეპოვა საულავი...

მაშინ ჩვენთვის ჩვენი სამშობლო იყო ჯოჯოხეთი... და გვაწამებდენ...

---

ზღვა დაწყნარებული იყო, ცა—პირმოღრუბლული, სამშობლოს მთები დაფიქრებული და ნოემბრის სევდიანი ნიავი ჰქროდა, როცა სამშობლოს გამოვეთხოვეთ...

ეს იყო ახლო წარსულში...

— ვნახავთ თუ არა აწ სამშობლო მხარეს?—გვკითხა ამხანაგმა.

— ვინ იცის... ჩვენ კი ავიზარდეთ, ჩვენ კი ჩვენს სამშობლოში შევისწავლეთ ბრძოლა, მივიღეთ განსხიერება ახალგაზრდული და არ ვიცით, ვნახავთ აწ თუ არა მშობლიურ მხარეს, ჩვენს ნაცნობებს, ამხანაგებს, დედებს...

უპასუხეთ.

მაშინ სამშობლოს მოგონება შორე მხარეში იყო მწუხარება...

მას წაართვეს საყვარელი შვილები...

მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა...

ბრძოლა იყო ლვოვის მარცხნით...

— ვნახავთ თუ არა ჩვენს სამშობლოს,—იკითხა გამოთხოვების დროს ამხანაგმა და მან ველარ ნახა...

უნდა ეთქვა რაღაცა, მაგრამ სიტყვა ვერ დაამთავრა, იქ დავსტოვეთ...

მან ვერ იხილა სამშობლო მხარე.,.

დილა იყო ზამთრის... თოვლი ემატებოდა გაყინულ დედამიწას... ცივი და მკაცრი ქარი უბერავდა არე-მარეს... ისინი სამშობლოს საზღვარზე იდგნენ სადარაჯოთ...

— შორეულ პრუსიის საზღვრებიდან ეხლა ვდარაჯობ ჩემს ქვეყანას და ვინ იცის რა მომავალი აქვს, ვისნით თუ არა ბარბაროსებისაგან.—სთქვა ერთმა მათგანმა.

— მომავალი ჩვენს ქვეყანას ეკუთვნის...

ახლო დღეებში გაუღიმებს მზე სიხარულისა.—უპასუხეს...

მაშინ ბრძოლა დაიწყო...

პრუსიის საზღვრებზე გადარჩენილი მხედარი სამშობლოს საკურთხეველზე დაეცა...

მან თავისი სისხლით დასწერა განაჩენი...

თავის ძვლებზე ააგო თავისი სამშობლოს მარადიული ნეტარება...

— —

მაისის მშვენიერი დღე იყო. ქვეყანა ოკეანესა ჰგავდა... სასოწარკვეთილება, ტირილი, ბრძოლა და გაბედულება ქვეყნათ არეულიყო.. ირგვლივ საშინელების მორევი ტრიალებდა...

კვნესა, ომი და წინმსვლელობის საოცარი გრგვინა გაისმოდა...

გემი სისხლით შენალები.. მთიური მდელოთი შეზღვებული, ძვლებით განაშენი, ოკეანეში გადაჭრილი მიექანებოდა მზიურ ქვეყნისაკენ...

მან გაიარა მღელვარების ტალღებზე...

ეკლიანი სივრცე...

და მაისის მშვენიერმა მზემ გაუცინა...

26 მაისი გათავდა...

დღე მწუხარების, სიხარულის და ახალი ბრძოლის...

მაისის ღამემ აცნობა საფლავებს უკვდავების გამარჯვება... მსოფლიოს ახალი ფურცელი გადასცა...

მე მახსოვს ეგ დღე, მახსოვს ეგ ღამე... როცა მტკვარი მღეროდა; როცა მთაწმინდის გორა პოეტური სიამაყით მშობლიურ ქვეყანას დასცქეროდა..

...სიკვდილს სიკვდილით გასცეს პასუხი; იშვა მაისის ახალი ხანა; დაღუპულ ძმების სისხლსა და ძვლებზე აღსდგა, გაცოცხლდა ნორჩი ქვეყანა...

ა. ჟუჟისპირელი



**ანანია სალუქვაძე**

მთავარი შტაბის კულტურულ განყოფილების ხელმძღვანელი, ძველი პოლიტიკური მუშაკი და მწერალი.

# მისალმება

ჯანწისადმი შვიდ მაისს- „პოეზიის დღეს“

სალამი ჩვენს ძვირფასს, ტურფა სამშობლოს!
სალამი მის მხნე ჯარს, თავისუფალ მოქალაქეს.
სალამი თქვენ, ვაჟკაცნო მეომარნო!
სალამს გიძღვნიან ქართველი მწერლები.
დღეს ჩვენი დღესასწაულია.
„შვიდი მაისი“ ჩვენ—მწერალთა დღეა.

დღეს, ჩვენთან ერთად, მთელი საქართველო დღესასწაულობს, ლიტანიობს.

სიხარულით ევებება მწერალთა ზეიმს!..

რადგან

მწერალი მისი ერთგული შვილია, მესაიდუმლე, წყლულთა მალამო, ჭრილობათა დამამშვიდებელი...

მაშ, გამხიარულდი, დღემდის კაოჩაკეტილო ქართველის გულო!

ღია გულ-მკერდში მაგრად ჩაიკარ შენი მოამაგე; შენი ერთგულნი მუდამ შენთვის მკვნესარნი ქართველი მწერალნი...

მშობლიურის ალერსით მიესალმეთ მათ, ვინც დღემდის თავის პირად არსებით ახორციელებდენ თქვენი გულის ნაღველს, ტანჯვა-ვაებას! ვისაც თქვენი გულის სიღრმიდან ამოქონდათ დაუსრულებელი ტკივილების ოხვრა-ნაკვეს და მწარე ნაღვლის მელნით, უფლება შეზღუდული, ხან იგავ-არაკებით, ხან კიდევ ამოცანების სახით ჰფენდენ ქვეყანას, ყველას აცნობდენ..!

ქართველმა დღეს განსაკუთრებით უნდა იმხიარულოს!

მან თავისი აღფრთოვანებით უნდა გაათბოს, გაამხნეოს თვისი მწერლები. მუდამ წაუშლელად აღიბეჭდოს გულის სიღრმეში ეს დღე, „შვიდი მაისი“ და ახსოვდეს, არ დაივიწყოს, რომ ეს დღე ქართველ მწერალთა დღეა, მას ეკუთვნის, მისი დღესასწაულია...

ქართველი მწერალი განსაკუთრებითი პირობებში იზრდებოდა.

მისი ნიჭი, შემოქმედება და ენერგია შეზღუდული იყო.

ნორმალურად არც იფურჩქნებოდა და არც ვითარდებოდა იგი...

ქართველი მწერალი ისე იყო შეჯაჭვულ-შებორკილი, როგორც მისი შემოქმედების მუდმივი საგანი, ბორკილ-ხუნდებით შეკოჭვილი ტურფა სამშობლო!..

ამ „ცა ფიროზ, ხმელეთ ზურმუხტის“ სამშობლოს გარშემო ტრიალებდა ჩვენი პროზაც და პოეზიაც...

ეს იყო საგანი ჩვენი ფიქრების მოღვაწეობის და მისწრაფებისა...

ამიტომაც ჩვენი ფიქრები და მოქმედებაც ისევე ტანჯულნი, წამებულნი და შებორკილნი იყვნენ, როგორც თვით ჩვენი სამშობლო.

ქართველი მწერალი მოკლებული იყო თავისუფალ ზეალმაფრენას, შემოქმედებას!..

მას არ შეეძლო თავისუფლად ლაპარაკი, მსჯელობა, აზრთა კამათი. იგი ქურდი იყო თავის აზრების, იდეის, განცდათა მღელვარების, ის იპარავდა, მალავდა. მტარვალთა შიშით, მჩქეფარე თავისუფლების ნაკადულს...

აგუბებდა თავისივე გულში და აშრობდა აზრთა სიმ ჟურვალით.

იგი ხუნდებში იფურჩქნებოდა, ბორკილებში სწერდა—ცრემლში გალესილ ნაღველს მელნადა ხმარობდა.

და ნიღაბ-ჩამოფარებული სხვადასხვა ფსევდონიმებით მოღვაწეობდა.. თვითგამორკვევა, თვითცნობიერება მას თუმცა ფარულად, მაგრამ განუწყვეტლივ მაინც შეჰქონდა წყვდიადში და დღემდის წყვდიადის კედლებს თანდათან არღვევდა, ასუსტებდა...

და დღეს წყვდიადი გაჰქრა.. ბნელეთი დაამსხვრია სინათლემ... ბორკილ-ხუნდები თავისუფლების სხივებმა გაადნო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტანჯულნი და მაშვრალნი, წელ-გამთბარი ზეზე ააყენა, გაამხიარულა და სამშობლოც ჰ*აროჰს, ლიტანიოჰს!!.

ქართველმა მწერლმა მოუმზადა ნიადაგი მაისის 26!

ქართველმა მწერლმა გაგიღვია გულში სამშობლოს სიყვარული, ხალხის და ერისთვის თავდადების გრძნობა, დღეს რომ ასე მამაცად იბრძვი და იცავ შენის ქვეყნის თავისუფლებას'..

სწორედ ამ დროს, ჩვენ-ქართველი მწერლებიც მჭიდროდ შევკავშირდით. თავისუფალ სამშობლოს ასაყვავებლად სამწერლო ასპარეზზე ფრთები თავისუფლად გავშალეთ და სამუშვრად დავიწყეთ.

— სალამი შენ, ჩვენო თავისუფალო, ტურფა სამშობლო!

— სალამი თქვენ, მხნე ვაჟკაცნო, მეომარნო, მოქალაქენო!

სალამს გიძღვნით თქვენი მუდამ მოყვარული ქართველი მწერლები! **თეოფილე ხუსკივაძე**

# ქართული მითი
## 26 მაისი

და იქ, სადაც დროთა მიმდინარეობ, აგორებულ ტალღად ეხეთქება სივრცის შეურყეველ კიდეებს,—იშვა სიხარული, რომელმაც დააბნელა ვარსკვლავთა ნათელი და გაუსწორო მზის სინათლეს...

იგი იყო ახოვანი ჭაბუკი, თმა-ხუჭუჭა და მისი მთელი არსება დაუსრულებელ სიხარულის სიმბოლოდ მიიღეს გარემო მდებარე ქვეყნებმა... ხელთ ეპყრა უქრობი კვერთხი და ტანს უფარავდა სამეფო სამოსი...

აი, დაეშვა ჭაბუკი ბრწყინვალე სახით ქვეყანაზე, რათა მოენახა ღვთის მშობლის კუთხე, გაეერთიანებინა იქ ყველა გულები და დაენთო შიგ ღვთიური ცეცხლი სიხარულისა.

და ილხენდა ქართველი ერი, დიდი და პატარა, და მისი სიხარული ჰგვანდა ანთებულ კვერთხს, რომელიც ეპყრა ჭაბუკს მძლავრი ხელით.

და რა მოიჯერა ჭაბუკმა გული ცა ფერუზ, ხმელეთ ზურმუხტის ქვეშ ლხენით, მოისურვა ძველი საქართველოს ხილვა, რათა განვლილ დროს დასწეოდა და აწმყოს სიხარულით აეღელვებინა წარსული...

* * *

აი, ჩაეშვა ჭაბუკი ანთებულ კვერთხით აჩრდილთა სამეფოში და მიადგა სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარს — ახერონს, სადაც უსულო ადამიანნი უცდიან მოხუც მენავეს, რათა გადიყვანოს წყალზე და დაასვენოს სულნი მათნი...

—მოხუცო, გადამიყვანე მეორე ნაპირს, მსურს ვიხილო ძველი საქართველო და ვაჩუქო სიხარული, რომელიც მომაქვს თან...

მოხუცი გაშტერდა, რადგან ამგვარი ჭაბუკის ხილვა პირველი იყო მისთვის.

—ვინ ხარ შენ?—იკითხა მენავემ.

—26 მაისი!..

და მოხუცმა უხმოდ გადიყვანა ჭაბუკი...

და შეიქმნა ლხინი იქაც, სადაც ძველი საქართველო განისვენებდა დროსგან უცვლელი და გაისმა ხმა ზეიმისა, რომელმაც შეარყია ქვესკნელის აკლდამები...

**არჩილ მაჭავარიანი.**



ნ. ცხვედაძე (1845—1911) ი. გოგებაშვილი (1840—1912) ლ. ბოცვაძე.

# საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართველი მუსლიმანები

დღეს საქართველო ზეიმით დღესასწაულობს თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ორი წლის თავს! მაგრამ გული გიტირის, როცა წარმოიდგენ, რომ დღეს ჩვენთან ერთად არ არის ჩვენი ძმების ქართველი მუსლიმანების ერთი ნაწილი, მოქცეული საქართველოს გარეშე. არ იქნა არ გალხვა ის მძიმე ყინული, რომლითაც შებოჭილია ჩვენი განდგომილი ძმების აზროვნება... **„რათ გინდათ ქართული სკოლა: ჯინც ისწავლა, სჯული დაივიწყაო. თქვენ გინდათ თურქული სკოლაო!“**—ჩასძახიან ჩვენი მტრები ჩვენს ღვიძლ ძმებს, რომელთაც ქართული ენა ჩვენზე ნაკლებ არ იციან...

და ზოგიერთები კიდევაც ებმიან ჩვენის მტრების დაგებულ მახეში...

ეს სამწუხარო მოვლენა მათი შეუგნებლობის შედეგია... რამდენი რამ გამოსცადა ამ ხალხმა, და არ იქნა, ჭკუას ვერ მოეგო: საკმაოა უვიცმა ხოჯამ, ქართველთა მტრების ფულით შესყიდულმა, ჩაუჩურჩულოს მას ყურში ქართული სკოლის მტრობა, რომ ქართულ სკოლას მან ქვა და გუნდა მიაყაროს.

როგორ იქცევიან სხვა ერთა მუსლიმანები?!

**მუსლიმანობა**—სჯულის აღმნიშვნელი სიტყვაა და არა გვარისა, ეროვნობისა. იაპონია დაწინაურებული ქვეყანაა. იქ ბლომად სცხოვრობენ მუსლიმანები. იაპონელი მუსლიმანი შვილს ასწავლის **მხოლოდ იაპონურ** სკოლაში, რომელშიც ყველა საგნებს იაპონურ ენაზე ასწავლიან. თურქული სკოლები იაპონიაში არ არის. იაპონელი მუსლიმანი რჩება ნამდვილ იაპონელად, თუმცა ისლამს აღიარებს. ამის მსგავსად იქცევიან მუსლიმანები ალბანიაში, არაბეთში, ეგვიპტეში და სხვაგან... ჩვენებური ქართველი მუსლიმანების ის ამბავი რომ გაიგონ, რომ ისინი ქართულ სკოლას მტრობენ, დასცინვენ და გაჰკიცხვენ მათ. ღირსნიც იქნებიან!

ჩვენებური მუსლიმანების ასეთი აბდაუბდური ლაპარაკი იმის ბრალია, რომ ისინი მშობელი საქართველოს ტკბილ მკერდს მოშორებულნი იყვნენ კაცობრიობის მტარვალთა—ოსმალების მიერ, და დედი-ნაცვლის შხამნარევი რძით იკვებებოდენ... ჩვენსა და მათ შუა ჩაეჩხირა ყალბად და მრუდედ გაგებული სჯული, რომლის სიმზეც უკვრენ საქართველოს მტრები... ჩვენი ძმები დღეს ჩვენთან არ არიან.

მაგრამ მე მჯერა, რომ ბნელი იგი უმეცრებისა, რომლითაც ჩვენი ძმების გონებაა მოცული, დღეს თუ არ ხვალ გაიფანტება; ისინი შეიგნებენ თავის ვინაობას და თვალცრემლიანები აღპყრობილი ხელებით დაუბრუნდებიან თვისი დედა საქართველოს მადლიან წიაღს.

ბრძოლა, ძმებო ბრძოლა ამ ბურუსის გასაფანტავად!

**ილია ფერაძე**

დამოუკიდებელი საქართველო



საქართველოს მთავრობა



მაღლა სახელმწიფო გერბი—თეთრი გიორგის, შუაზე ნოე ჟორდანია—მთავრობის თავმჯდომარე, ნოე რამიშვილი, ევ. გეგეჭკორი, ნოე ხომერიკი, კ. კანდელაკი, მ. არსენიძე, გ. ერაძე და გ. ლორთქიფანიძე



საქართველოს დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმი.
კ. ჩხეიძე, ალ. ლომთათიძე, ექ. თაყაიშვილი, ს. მდივანი, კ. ჯაფარიძე, გ. ნათაძე და ქ. შარაშიძის ასული.

# სამშობლოს

(26 მაისის ზეიმის გამო)

საუკუნეებმა გადირბინეს შენს თავზე მძლავრად
და უთვალავი მტერთა ურდო შემოგებრძოლა,
ყველა შემუსრე და აჩვენე, რომ შეგწევს ძალა,
შეინარჩუნე შენი სახე ფოლადის ფარად!..

——

ძირს არ დახარე შენი დროშა—ხელთ გეპყრა მარად,
რაინდთ სულით, შენ არ იცი შიში და ძრწოლა,
ერთსულოვნება მუდამ შეგწევს და იცი ბრძოლა,
გარს არწივები გდარაჯობენ ბრინჯაოს ჯარად!..

——

და დღეს ზეიმობს შენი სული მუდამ მგზნებარე,
გული გიძგერის, რადგან შენ ხარ გამარჯვებული,
მე შენი სახე, უკვდავებავ, ლაღ მზეს ვადარე,—

——

და როგორც დღემდის აწ მარადის ტკბილად გვატარე,
მსურს იყო მარად მანარნარე, აყვავებული—
ჩემო ლამაზო, მშვენიერო სამშობლო მხარე!..

აპოლონ კოლაშელი



**ვ. ჯუღელი**
საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომირე—დამფუძნებელ კრების წევრი—სახალხო გმირი.



**გენერალი კვინიტაძე.**
საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მთავარ სარდალი, დამსახურ. საზ. მოღვაწე



**ვ. გოგუაძე**
საქართველოს რესპუბლიკის ჯავშნოსანთა უფროსი, ძველი პოლიტიკური დევნილი.



**ბენია ჩხიკვიშვილი**
ქ. თფილისის მოურავი, ძველი პოლიტიკური მოღვაწე დამფუძნებელ კრების წევრი.



**კ. ანდრონიკაშვილი**
მუსიკალურ საზ-ის თავმჯდომარე, დამფუძნ. კრების წევრი სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი, ძველი პოლიტიკური მოღვაწე



**ნ. ბ. ელიავა**
საქართველოს რეს. ქალ. კავშ. თავმჯდომარე ძველი პოლიტ. მოღვაწე, დამფ. კრების წევრი

# მზის ამოსვლამდე
ანუ
# სიყვარულის კოცონზე

დრამატიული სურათი 1 მოქ. საქართველოს წარსულიდან.

**მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:**

1 **მზეხა**, საქართველოს მთავრის ასული —19 წ.
2 **დუდა**, ძიძა, მისი აღმზრდელი —54 წ.
3 **ბურდო**, ჩრდილოეთის ველურ ურდოთა მთავარი —35 წ.
4 **თანდილ**, ქართველთა ჯარის სპასპეტი —27 წ.
5 **ასისთავი** —25 წ.

დარიალის კარი. კოშკის მეორე სართული. ძველ ყიდაზე მოხარატებული, დაისრული სარკმელი, სვლიტასტი:დაბალი შემოსასვლელია

I **მზეხა**. სარკმელთან, **დუდა** კარებთან კუთხეში მოფარებით ზის,

**ბურდო** შემოდის.

**ბურდო** (შემოდის) ჩემო მეუფევ, ნუ თუ არც ახლა გადამიხსნი გულის კარებს? ხომ აღვასრულე თხოვნა შენი შენ რომ არა—საქართველოში ქვა ქვაზედაც არ დარჩებოდა, ისე მოვაოხრებდი. ეს იყო ჩემის ხალხის გადაწყვეტილება, მაგრამ გნახე—შევიბორკე... ახლა ხომ უკვე ჩემი ხარ, ჩემი! ჩემი საცოლო!

**მზეხა** (სარკმელთან მდგარი. მოტრიალდება, კუშტად გახედავს, მერე თვალების დახრით, ძორცხვად) დიაღ, ღმერთებმა აგრე ისურვეს... მაგრამ შენი რომ სთქვი. რატომ პირობას აღარ მოიგონებ?

**ბურდო** პირობას? ნუ თუ შევცვალე რაშიმე?



მზეხა საქართველოდან უცხო ჯარები სრულიად გაიკრიფნენ თუ არა?

**ბურდო** (ღიმილით) ს ცოცხლეო! მართალია მუდმივ ბრძოლის ველზე გრძნობა გამიხევდა, მაგრამ იმდენად კი არა, დანაპირების დავიწყება შემეძლოს. გახედე, ჩვენი ჯაოების უკანასკნელი რაზმები უკვე მიდიინ და გათენებამდე საქართველოში არც ერთი მოჰტერო უცხო ჯარისკაცი არ იქნება...

**მზეხა** (ნაძალადევი ღიმილით) გმადლობთ!

**ბურდო** (წაქეზებული მზეხას მადლობის დამსახურებით) რა მიბრძანო, ღვთაებაო, რომ არ შევასრულო... საქართველოზე რო გამოვილაშქრე, სულ სხვა გეგმები მქონდა დასახული: ქვეყნის დაპყრობა, ალხის დატყვევნა, დაბა-სოფელ-ქალაქთა დარბევა და საქართველოს ამაყი სულის ერთხელ და სამუდამოდ ფეხქვეშ გაქელვა... დიახ, ეს იყო ჩვენი ლაშქრობის მიზანი, მაგრამ... გზა-ჯვარედინზე თვალი მოვკარი და ხმალი ჩემი ქარქაშს ჩაევო: შენ უიარაღო, სუსტი ქალი—ჩემზე, იარაღიანზე ძლიერი გამოსდექი: სუსტმან ძლიერი დამიმონე და აწ შენს ფეხთა ქვეშე გართხმული მოწყალებასა გთხოვ...

**მზეხა** ჩვენ მეორე პირობაც გვქონდა: ვიდრე ჯვარს არ დავიწერდით, ერთმანეთისათვის უცხონი უნდა ვყოფილიყავით...

**ბურდო** მართალია, მაგრამ განა ჯვრის დაწერას გვიშლის რამე? აგერ კარის მღვდელი აქვეა.

**მზეხა** ხოლო ეს ჯვრის წერა მაშინ უნდა მოხდარიყო, როცა მთელის ლაშქრით შენს საბრძანებელში შევ დოდით...

**ბურდო** სწორედ მაგრეა,—ჩვენ საზღვარზე ვდგევართ: ეს კოშკი ჩვენსა და საქართველოს შორის მიჯნაა. ამას იქით უკვე ჩემი საბრძანებელია... ამიერიდან ჩემი ხარ, ჩემი, კეკლუც საქართველოს უკეკლუცესო ასულო, და შენს თავს ველარა ძალა ვერ წარმტაცებს...

**მზეხა** ეგ აგრეც იქმნება, მხოლოდ გთხოვ მადროვო.. დავმშვიდდე, დავწყნარდე...

**ბურდო** შენი სურვილის ასრულება - ჩემი საღვთო მცნებაა, ოღონდ როდემდის გიცადო?..

**მზეხა** შუაღამემდე... მზის ამოსვლამდე!

**ბურდო** (მუხლზე დაემხობა და ხელს უკოცნის, ამოოხვრით) ფრიად დიდი მანძილია, მაგრამ გემონები, ჩემო ფასდაუდებელო საუნჯევ, ჩემო ღვთაებავ!..

**მზეხა** ეხლა გთხოვ, მარტო დამტოვო...

**ბურდო** (გავა სალამით თავდახრით)

**მზეხა** (პატარა სარკმელს გამოაღებს და გაიცქირება. სარკმლიდან შემოჭრის მთის ნიავი, მოისმის ლაშქრის ურმების ჭრიალი, ცხენთა ფრუტუნი, თქარა-თქური, ჯარის მოძრაობა. შემოაშუქებს მთვარე. მოისმის შერეული ურმული, ლაშქრული. მზეხა დუმილშია. ნაღვლით სავსე)

**დუდა** (მოკრძალებით წამოიწევს) სამი დღეა თვალი არ მოგიხუჭავს, შვილო, მოისვენე...

**მზეხა** (ნაღვლიანად, გოროზად) და ვერც მოვისვენებ, ვიდრე უცხოთა ჯარისკაცის ერთი ქუსლი მაინც იდგმება ჩემს სამშობლოში...

**დუდა** მაგას დიდი ლოდინი უნდა... მას შემდეგ, რაც დარიალის კარი გაიღო და მტერმა ფეხი შემოსდგა, მისი აქედან გასვლა არც აგრე ადვილია...

**მზეხა** ოჰ, წყეულიმც იყოს მოღალატე, გამცემი... შინაური თუ იქნებოდა!

**დუდა** თუ არ შინაური, განა ჩვენს ციხე-ბურჯს ვინმე შემოლახავდა!.. მაგრამ გამოჩნდა იუდა ისკარიოტელი, არ დაინდო ერი თვისი, სამშობლო, მამული და ველურთა ურდოებს კარი გაუღო... ახლა...

**მზეხა** (აწყვეტინებს) ახლა?

**დუდა** ახლა ძნელია მათი აქედან განდევნა, ძნელი...

**მზეხა** (მტკიცედ) ადვილია და ასეც უნდა მოხდეს... მაგრამ მტრის ლაშქარი სრულიად რომ გაიკრიფოს, ჩვენები კარის ჩაკეტვას მოასწრებენ თუ ვერა?!

**დუდა** ოჰ, მაგას რომ ელოდებოდეს საქართველო, მას კიდევ მოეპოვება ერთგული შვილები და ამ ჯარებს ასე ადვილად აღარ გაუღებენ მოყვრულად მოსულს მტერს... მაგრამ ვინ გვაღირსებს, ვინ? ნამეტნავად დღეს, როდესაც შენ, ჩემო თვალის ჩინო... (ცრემლი ერევა)

**მზეხა** რა მე?

**დუდა** ჩემი მზეთუნახავი, საქართველოს სამეფოს ნუგეში და უცხო ბატონიშვილთა სანუკვარი სამშობლოს მტერს უნდა გაჰყვეს... ვინ იცის, ცოლად კი შეგირთავს, თუ...



**მზეხა** კმარა, ძიძა!.. შენს ძუძუებს დავემდური, თუ გული გატკინე, ძუძუები დაიჭერ, თუ თავი შევირცხვინე... ჩემი ბრალი არ იქნება... ჩუ! (მოისმის ბულბულის ხმა)

**დუდა** იადონია, სიყვარულის მიჯნური...

**მზეხა** (წამოწევა, ნიდაყვზე თავს დააყრდნობს და უსმენს. შორით ხალხის შერეული ხმა და სიმღერა; მთვარე ხან ღრუბლებს ეფარება, ხან აშუქებს) რა ტკბილად მოსთქვამს!..

**დუდა** სიყვარული უდიდესი სატკბოებაა...

**მზეხა.** (გულამოსკნით) განა შენც გამოგიცდია, ძიძა!

**დუდა.** (თავის ქნევით) ეჰ, იყო და გაჰქრა ვითა სიზმარი ღამისა, ვითა ხამხამი თვალისა... უკვდავი არაფერია და არც სიყვარულია საბოლოო.

**მზეხა.** არა, ძიძა, სიყვარული უკვდავია...

**დუდა.** (ჩაცქერდება) მაშ შენ და თანდილი!

**მზეხა.** ჭრილობას ნუ მიარჯლებ... ეგ აგრეა საჭირო... ჩემი სიყვარული მაინც უკვდავია. წადი, ძიძავ წადი დაიძინე, თორემ შენ უფრო მეტად მამწარებ.. დაე, მარტოკა ვიყო, ევება ცოტა მოვისვენო...

**დუდა.** მოისვენე, შვილო ჩემო, მოისვენე... დიდი, დიდი მსხვერპლი შესწირე... სიყვარულის მსხვერპლი უდიდესი მსხვერპლია!.. (მთვარე ღრუბლებს ეფარება. ძიძა გადის, ბულბული გალობს, ეშხით ივსება მზეახ ოცნებაშია და ერთი წერტილისკენ გაიცქირება თვალგაშტერებული ვითარცა შთაგონებული ძიძა შემოტრიალდება)

**დუდა.** შვილო, გასაოცარი სულიერი დამხვდი გარედ... ჩამციებია მთავრის ასული უეჭველად მარტოკა უნდა ვნახო საჭირო საქმეზეო... ვშიშობ, ბოროტი არა ედოს რა გულში...

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მზეხა.** (მცირე მოფიქრების შემდეგ) შემოუშვი და კარები მოკეტე.

**დუდა.** (გადის)

**მზეხა.** (წამოიწევს) ვინ უნდა იყოს?

II იგივე, **თანდილ.**

**თანდილ** (შემოდის ნაბად მოხვეული, მიმოათვალიერებს)

**მზეხა.** დაბრძანდით, რა გნებავთ? (ხელს მისთავაზებს)

**თანდ.** მზეხა!

**მზეხა.** (გაოცებული) თანდილ?!

**თანდ.** დიახ, თანდილ, ჩემო სულის დგმავ!.. ეს მე ვარ... შენგან გაუბედურებული.

**მზეხა.** (სასოებით) თანდილ, თანდილ! რამ მოგიყვანა!

**თანდ.** რამაც შენი მზიური სახე გულში ჩამისვენა, რამაც უშენოდ სუნთქვა გამიძნელა. ოჰ, მზეხა, მზეხა!.. რა, რა დავაშავე, რა შეგცოდე, რომ ასე დამსაჯე?..

**მზეხა.** როგორ გაბედე, როგორ, რომ ეგოდენ ურიცხვ ჯარში ფეხი შემოსდგი?

**თანდ.** სადაც ჩემი მზეა, რაღაც იდუმალი ძალები მისკენ მიწვევენ და ვერავითარი ძალა წინ ვერ გადამეღობება...

**მზეხა.** დარაჯებს როგორ შემოუხველ?

**თანდ.** ისეთი ულრანი ხევ-ხუვები გადმოვიარე, ისეთი ფრიალო კლდეები, რომ ჩვენი ქვეყნის მტერ-მოყვარენი თვალსაც ვერ დაჰკრავენ იქა.

**მზეხა** რათა, რისთვის შემოიპარე?

**თანდ.** როგორ რათა, რისთვის? გული ამომაცალე, სული ამომხუთე და მეკითხები რისთვისაო?!. მზეხა, ნუ თუ დაგავიწყდა განვლილი დღეები, წყაროს ლიკლიკთან ჩვენი უსიტყვო ტრფიალი, მამიშენის წალკოტის ბუჩქნართა შორის ახალ-შებინდებ-სას საიდუმლოებით მოცული ჩვენი წმინდა ლოცვა, ჩვენის გულთა გაერთიანება!.. მზეხა, მზეხა!.. მართალია, შენ მთავრის ასული ხარ, მე უბრ ლო მხედარი, დაბიოთაგანი, მაგრამ ჩვენმა გულმა ეს საზღვარი ხომ გადალახა, სული ხომ სულს შეექსოვა!.. სიყვარულის ღმერთმა ხომ ჩვენი სულნი გააერთიანა?! და მაშ რათ მიღალატე, რათ მიმატოვე?.

**მზეხა** შენსავე თავს დაემდური...

**თანდ.** ჩემს თავს?! სულო-ჩემო, ნუ თუ არ იცოდი, რომ მთავრის ბრძანებ-თ სომხეთის საზღვარზე ვიყაკ ჩემის ათასეულით... და განა იმაში მიძევს ბრალი, რომ სამშობლოს საზღვრის დასაცველად ვიყავი წასული?..

**მზეხა** პირიქით: იმაში, რომ, როგორც საჭირო იყო, ისე ვერ დაიცავით საზღვ.რი.

**თანდ.** როგორ! განა ერთის ცოდვა მეორეს ეკითხება?



**მზეხა** და რაა ის ქვეყანა, რომლის შვილნიც ერთის გრძნობით არ არიან გამსჭვალულნი: ყველა ერთისა და ერთი ყველასათვის არ ზრუნავს... მაგრამ ახლა გვიანლაა ამაზე ლაპარაკი... შენ მე მისაყვედურებ და ჩემსას კი არ იკითხავ: ოდესაც ვიხილე ქვეყნის შუა გულში შემოჭრილი ველურთა ბრბოები, თვალწინ წარმომიდგა სამშობლოს აოხრების მთელი საშინელება, დედა-წულთა გაუპატიურება, ბავშვთა გასრესვა, მამულის წვა-დაგვა... საჭირო იყო მსხვერპლი. ქვეყნის დამხსნელი მსხვერპლი და ღმერთმაც გამოაჩინა... იმ დროს, ოდეს ჩრდილოეთის ველურთა დესპანნი სასახლეში გვეახლნენ, მათ შორის იყო ლაშქრის მთავარსარდალი, ჩრდილოელთა ბრბოს მთავრის შვილი... შემომხედა და... დესპანთა მოთხოვნილება ასე შეიცვალა: ან ქალი მოგვეცი სასძლოთ ან ქვეყნის შუა-გულში შემოჭრილი დამშეულ-გაბრაზებული ლაშქარი დაბა-ქალაქთ შეესევაო და..

**თანდ.** (სასოწარკვეთილი აწყვეტინებს) და შენც დასთანხმდი!..

**მზეხა** (მტკიცედ) დავ! თანხმდი!.. (პაუზა)

**თანდ.** შენ თუ თავი გაიწირე მე რაღას მიპირებდი

**მზეხა** იქ, სადაც ქვეყნის ბედი სასწორზეა, მე და შენ რა სახსენებელი ვართ?

**თანდ.** (მიმოიხედავს საიდუმლოებით) თანახმა ვარ, მაგრამ ჩვენი შვილი ..

**მზეხა** (ტუჩებ პირზე ხელს მიაფარებს) ხმა, კრინტი!.. და სწორედ იმიტომ უფრო გადავსდგი ეს ნაბიჯი, რომ იგი? ცოცხალი გადამერჩინა... ის არის ჩვენი სასოება, ჩვენი ნუგეში...

**თანდ.** სად არის?..

**მზეხა** დედეულთ თემში. საიდუმლოდ იზრდება!.. მოვა დრო და გაზრდილი დაბრუნდება დაბრუნდება მაშინ, როს ქვეყანას გამოადგება..

**თანდ.** არა, არა!.. მთელი ჯოჯოხეთიც რომ აღსდგეს, შენს თავს ვერავის დავუთმობ... ჩემი არწივები უკვე კლდე-ღრეებზე მოფრინავენ .. თითოეული მათგანი ათასეულათა ღირს და, დაე, ომის ღმერთმა გადასწყვიტოს ჩვენ ორში ვის უნდა ეკუთვნოდეს მზეხა, — მე — სიყრმიდან თანაშეზრდილს, სიყვარულის ქურაში ამომწვარს ხელქმნილ მიჯნურს და მამას, თუ მას — ღალატით შემოაპარულს და უხეში ძალით გაყვინიზებულს?..

**მზეხა** უკვე გ დასწყდა: მე მისი ვარ, ვინც სამშობლოს აოხრებისაგან გადამირჩენს...

**თანდ.** სულის ამოსვლამდე ეგ მექნება მცნებად.

**მზეხა** გვიანლაა!

**თანდ.** მზეხა, მზეხა! გონებას ნუ შემირყევ, სულს უხილავ შანთით თუ მიდაღავ!.. მზეხა, მზეხა! შენ ხომ ჩემი სულის სული ხარ, გულის გული, მე ხომ უშენოდ არა რა ვარ... და თუ შენ ჩემი შეიქმენ, მაშინ რომელი ძალა დამძლევს, რომელი ძალა დამცემს?!. (პაუზა)

**მზეხა** რაზმი ერთგული გყავს?.

**თანდ.** ერთი მეორეზე უკეთესი, ერთი მეორეს ცეცხლში გადაუწრებს რო მოვითხოვო.

**მზეხა** მტრის ჯარი რომ გაიკრიფოს, კარის გამაგრება შეგიძლია?

**თანდ.** ჩიტსაც არ გადმოვაფრენ!

**მზეხა** (ჩაციებით უცქერის თანდილს)

**თანდ.** (თვალს უშტერებს, ალგზნებით) ნუ თუ ეჭვი გებადება?

**მზეხა** მკვდარიც რომ ვიყო, შენი ვარ, შენი!

**თანდ.** სიცოცხლევ!.. (ალტყინებით ჩაეხვევიან ურთიერთს) მაშ ახლავ, ახლავ წავიდეთ!..

**მზეხა** მზის ამოსვლამდე მიცადე .. მიცადე. ვიდრე მზე ყურს ამოჰყოფდეს და ჩვენს თავისუფალ სამშობლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა





გადმოჰხედავდეს... და შენის არწივებით იყავი მზად, რომ მზის ჩასვლამდე მტერი კვლავ არ შემოტრიალდეს ამ კარებში...

**თანდ.** სურვილი შენი — ჩემი კანონია, სულისდგმავ... (ნათდება)

**მზეხა** (ფანჯარაში გახედავს ცის სივრცეს) ცას მტრედის ფერი ეპარება, თენდება... გახედე არწივებს... დღეიდან უდიდესი მოვალეობა გეკისრება... წადი და მზის პირველი სხივი რომ შემოსრიალდეს, აქ გაჩნდი...

**თანდ.** მზე დამიბნელდეს, თუ აგრე არ მოვიქცე. (ჰკოცნის და გადის)

**მზეხა** (კარამდე მიაცილებს, კარში გაჰყურებს, კარს გამოიხურავს და სარკმელში გაიცქირება, შემდეგ სელზე მიწვება, ნიდაყვზე დაყრდნობილი)

**სიმღერა** (მოისმის შორიდან)

ღამევ, ბნელეთის მშობელო,
ნეტა როს გამითენდები;—
მიჯნურო, შენის ტრფიალით,
სანთელებრ დავილევენთები...
მზეო, სადა ხარ, ამოდი,
სული შენ მოგელოდება,—
მიჯნურო, სად ხარ, მომხედე,
უშენოდ ცეცხლი მედება!..

(მოისმის საყვირი)

**მზეხა** (წამოიწევს, ყურს უგდებს, სიხარულით) მიდიან, მიდიან!.. წასვლა თქვენი—აღარ დაბრუნება.

III იგივე, **ბურდო**

**ბურდო** (ჯავშან-საჭურვლით) დაე, დასტკბეს სმენა შენი, სიცოცხლევ! სურვილი აღგისრულდა. აგერ უკანასკნელმა ჯარის-კაცებმა გაიარეს... ერთი ეტლიღა გვიცდის ჩემო სულის დგმავ, ჩავსხდებით და რამოდენიმე წუთის შემდეგ შენს ახალ სამშობლოს საზღვარს გადალახავ... და იქნები ცის ქვეშეთ ბედნიერი ლამაზთა შორის პირველი...

**მზეხა** გული მაინც ნაღვლით ისე მიმძიმს, თითქო ტყვია მებუროს.

**ბურდო** რათა სიცოცხლევ! გახედე, უკვე მზის სხივები მოსრიალობენ ღრუბელთ შორის... პირობა ჩვენი მოვალეობის აღსრულებას ითხოვს...

IV იგინივე, **თანდილი**

**თანდილ** (შემოდის) ვგონებ მზის სხივს მოვყე, უსაყვარლესო...

**მზეხა** მეც მზათა ვარ... პირობა, მოვალეობა, სიყვარული... (თანდილას შეხედავს, მერე ბურდოს) მოვალეობა და სიყვარული! (უცებ გადასწყვიტა, საცერულს გადახსნის და საწამლავს ამოსწუწნის) მეგობრებო!.. იყავით ძმანი...

**ბურდო** (თანდილს) ვინა ბრძანდებით ვაჟკაცო?

**თანდ.** მოყვრის ერთგული, მტრის გამგმირი...

**მზეხა** (აღგზნებული) და მეგობრები... სიყვარულის უმაღლესმა მსხვერპლმა შევაერთოთ... მიეცით ხელი ხელს... მე კი... ძიძა... არა, არ მინდა... არა უშავს... სიყვარული და მოვალეობა უნდა აღსრულდეს... (გულზე ხელს იტაცებს და სელზე დაეცემა)

**თანდ.**
**ბურდო** (ერთად) ღმერთებო ხომ არ გვირისხდებიან?

**დუდა** (მივარდება) რა დაგემართა, თვალის ჩინო! (შუბლზე ხელს გადუსვამს, მაჯას უსინჯავს, შენიშნავს თავმოხსნილ საცერულს) თვალიმც დამიდგეს: ნუ თუ?!

**მზეხა** არაფერია! საჭირო იყო მამულისათვის... სიყვარულისა და მოვალეობისათვის...

**დუდა** მზის თვალო, მერე აგრე ადვილად რათ გაიწირე თავი, რათ მოიწამლე?..

**თანდ.**
**ბურდო** (მივარდებიან ელდა-ნაცემნი) როგორ თუ მოიწამლა?!

**მზეხა** მალე, მალე... ბნელდება!...

**თანდ.** მზემ სხივები გტყორცნა... (კოშკის სარკმელში მზის სხივები)

**მზეხა** ჩემის სამშობლოს მთებს ხომ დაედგა მზის სხივთა გვირგვინი! ხომ მზე ამოვიდა! (მზე მიაშუქებს) თანდილ! კარი გაიმაგრე... ოჰ, გული!.. გაიმაგრე ვიდრე ძე ჩვენი დავაჟკაცდებოდეს და კარებში დარაჯად ჩადგებოდეს... ველურმა აღარ გაქელოს მამული ჩვენი... კარი გადაკეტე—მტერი არ შემოგეპაროს, სარკმელი გაალე—მზემ შემოაშუქოს...

**ბურდო** (სასოწარკვეთილი კბილთა ღრჭენით) წყეულო ბედო!..

**თანდ.** ბედო უკუღმართო!

**მზეხა** არაფერია... დაე, მზის სხივები ყველას თანასწორ გინათებდეთ თავ-თავის სამშობლოში... ამიერიდან ნუღარ იქმნების ერთისგან მეორის აკლება და იქმენით ძმანი... გული... ძიძა... თანდილ... მარად გიყვარდეს სამშობლო და შენ მუდამ ჩემს გულში იქნები, ვინაიდან სიყვარული უკვდავია! (სულს განუტევებს)



**თანდ.** (თავ-დახრილი) შენ იქმნები ჩემი სალოცავი!
**ბურდო** ოჰ, რა უქმად დავშვერი!
**დუდა** უქმი საქმე ნაყოფსაც უქმს გამოიღებს!...

**ასისთავი** (თანდილას და საზოგადოდ) მტერი მთლად გაიკრიფა. კარებს ჩვენები იცავენ! ერი კარის ეკლესიაში იკრიფება და ღლესასწაულობს!.. (მოისმის ზარი და გალობა):

„აღსდგა ერი მკვდრეთით,
სიკვდილითა სიკვდილის დამთურგვნელი!“

**იოსებ იმედაშვილი**

1919 წ. ენკენ. 12



ვ. ლენინი

საბჭოთა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე, ბოლშევიკთა ლიდერი, რომლის მონაწილეობითაც საქართველოსა და რუსეთის შორის ზავის პირობა დაიდო.

# წითელი მაისი

ხელოვნება ჯადოსნური სარკეა, რომელშიაც გამოსჩანს სტატიკა და დინამიკა არსებობისა, თვით მიზნობა ნათქვამთა და სახეთა.

**მაკოვსკი.**

არც ერთი ერის ისტორია არ იძლევა იმდენ მშვენიერსა და წარმტაც მასალას ხელოვნების ქანდაკის გამოსაკვეთად, როგორც ჩვენი მრავალ პირობებში გაწამები საქართველო.

მაგრამ ევროპიის არც ერთი ერის ხელოვნების შემოქმედება არ არის ისე დაქვეითებული, როგორც ჩვენი.

თანამედროვე ევროპამ უკვე გაარღვია კაპიტალიზმის შავი რკალი.

წითელი მანტია წამოესხა მის მწვერვალებს.

ჩვენი ერი რევოლიუციის ახალმა მოძახილმა ახალ მწვერვალზე აიყვანა.

განახლების ქარიშხალი ჩვენთვის არ გამოდგა შორეულ მუსიკის მიმზიდველობა.

არა! ჩვენ ჩვენი ნერვები მას სიმებად გადავაბით.

და მუდამ ჟამსა მწუხარებისასა და აღმაფრენისას ჩვენი გული ბანს აძლევდა.

და დღევანდელი მაისი, მაისი წითლად მოელვარე და მოლივლივე, ეს ჩვენი სისხლით და ცრემლებით მონამული ჰორიზონტია.

ჩვენს ყოფნას მუდამ აღფრთოვანებს განახლებული სულის, განახლებული ცხოვრების პერსპექტივები.

მაგრამ, როცა ითქმის სიტყვა განახლებულ სულზე, თვალწინ გვეშლება ხელოვნების უმშვენიერესი სახე.

და ეს მშვენიერება კიდევ სიმბოლოა ჩვენთვის... კიდევ მიუწდომელი.

ჩვენს ხელოვნების უმშვენიერეს ტაძარის სამრეკლოდან ჯერ კიდევ არ დარეკილა ახალი ზარი წვევისა.

არ გამომკრთალა ახალი სხივები, არ თქმულა ახალი სიტყვა.

მის „ჯადოსნურ სარკეზე“ არ აღბეჭდილა ახალი ხატება „ნათქვამთა და სახეთა“.

წითელი დღესასწაულები ჩვენის ერის გულზე წითელ ვარდებად იშლება ..

მელპომენა-კი თითქმის სტირის, თითქოს უნუგეშოების ემბლემად გადაქცეულა.

მაგრამ რწმენა მძლავრია.

და ის გვიკარნახებს, რომ ამ წითელ დღესასწაულთა მოკიაფე სერიებში ჩვენი ხელოვნებაც, ალბად, მორცხვად, თავ-დახრილი თავის მშვენიერ გულზე იკრეფს და ისხურებს მშვენიერ აზრთა და განცდათა წინწკლებს.

და მალე წმინდა ნექტრისგან ნასხურები გული, უჩვეულო გრძნობებისგან ნაზიარები სული, მაისის ვარდის მსგავსად გადაიშლება.

და შემდგომ, მუდამ წითელი მაისის დღესასწაულზე, მოწიწებით მოვკრებთ სურნელოვან ვარდებს და საერთო ერის განახლების აღმბეჭდავ ლიტანიას გამთლიანებულ სიხალისით გავყვებით.

**ნ. გერგესელი**



გრ. ურატაძე

საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრი, რომელმაც საბჭოთა რუსეთთან ზავის პირობას საქართველოს მხრით ხელი მოაწერა.

# ზეიმზე

**26 მაისი.**

წითელ რიჟრაჟზე ჩამოიხსნა შავი ფარდები,
ოქროს სხივებით მოექარგა ცის მიჯნურს ყელი,
თეთრი სუდარით გავასვენეთ ძველი დარდები, —
წითელ გაზაფხულს მივეგებეთ, მივეცით ხელი!

***

დაიმსხვრა კერპი ქურუმების, ოქროთ ნაჟერი,
გმირთა სულები აიშალენ მკვეთრი შუბებით,
მედგრად ამართეს ძლევის დროშა—დროშა სამფერი,
მოსრნეს მტერთ გუნდი, გამარჯვებას ლხინობენ შვებით!

***

და გაზაფხულის ლურჯ სუფრაზე ზეიმობს ზეცა.
მზე ოქროს ყანწით გვტოლუმბაშობს, ვსვავთ სადღეგრძელოს,
წითელ ჰიმნებით მოვიმღერით, ბანს გვაძლევს მზეც,
დიდება ივერს გამარჯვებულს, ერს სასახელოს!..

**მიხ. დევაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 26 მაისი 26

მაისი მუსიკალობს..., —და ია მით ვმღერ მისი; —
გაისი მას უგალობს... და სიამით მერმისი.

* * *

წითელ აფრად სიოზე: შლილობს დროშა ივერის: —
ცით ელვა-აფრად, სიონზე: ცვლილობს დროთა იერის.

* * *

ანგელოზნი ლილისა ფონს: რთავენ ბრილიანტით; —
ჰანგ მდელოსნი, დილის ათონს: სწნავენ გირლიანდით.

* * *

დაფნ-ვარდ მარშით, სიყვარული: ქნარობს მშვენიერი: —
დაფნ-მარდ რაშით, სიტყვა სრული: ჰხარობს მშვენი ერი.

* * *

მაისი მუსიკალობს..., —და ია მით ვმღერ მისი; —
გაისი მას უგალობს... და სიამით მერმისი.

**ს. ერთაწმინდელი**

# ერი - მსოფლიოში

ყოველ ერს აქვს თავისი არსებობის განსაკუთრებული უფლება: ეს უდავო კითხვაა, ყოვლად ბუნებრივი და მაშასადამე აუცილებელიც. ხოლო ეს უფლება ეკარგება, ერთმევა მას ზოგიერთ გამონაკლ შემთხვევაში, სხვა და სხვა პირობებისა და გარემოების მიხედვით; ზოგჯერაც ამ უფლებათა დაკარგვის პროცესს თვით დამკარგავი ნებით თუ უნებურად უწყობს ხელს, აჩქარის მას და თავის-თავად მიდის სრულ თავის უარყოფამდე. ასეთი ერის ორგანიზმი, შემადგენლობა თანდათან იშლება, როგორც ერთეული, წაწილდება, სუსტდება, ჰკარგავს უპირველესად თავის ენას, ივიწყებს ზნე-ჩვეულებას, იცვლის თავის საკუთარ ტიპს-სახეს, და შემდეგ ისპობა, ქრება სრულიად ქვეყნის საერთო რუქიდან.

ასეთი მაგალითები ბევრია კაცობრიობის ისტორიაში. მაგრამ ამ თავის არსებობის, თავის უფლების დაკარგვას ვერ შეურიგდება საბოლოვოდ ის ერი, რომელსაც კი შესწევს თვით-არსებობის ნიჭი და უნარი, რომელიც წინადვე განვებისგან წეს-აგებული არ არის სასიკვდილოთ და აღსაგველად დედა-მიწის პირით.

ერი, როგორც ერთეული, მსოფლიოს მთლიანობის შემადგენელი ნაწილია; იგი ამაგრებს, ამშვენიერებს და შეაქვს შიგ თავისებური სიხალისე და აზრიანობა, სიკეთე, სიმდიდრე თავის ენით, ზნე-ჩვეულებით, თვალ-ტანადობით, ცეკვა-სიმღერით, ზღაპრებით და არაკებით; ყოველი თავისი ავით და კარგით; ერთი სიტყვით ერთ თავის მიწაზე, თავის სახლში საკუთრად ჰქმნის თავის ცხოვრების ისტორიას, ზრდის, აწვითარებს და ამით საბოლოვოდ უკავშირდება მთელ მსოფლიოს, როგორც ერთი საზოგადო მოვლენათაგანი და ხდება მის სრულუფლებიან წევრად. მხოლოდ ამ პირობებში მიიღებს მას მსოფლიო, როგორც თავის კანონიერ შვილს, მის მკერდზე წამოშობილსა და აღზრდილს. და ასე, ამ გვარად იქმნება თვით მთელი მსოფლიოც.

წინააღმდეგ შემთხვევაში ერს ერი-ბლარ ერქმეოდა, მსოფლიოს—მსოფლიო; მაშინ იქნებოდა ცნებათა სრული არევ-დარევა, ან და თუ იქნებოდა რამ—ისევ ის რაც დღეს არ არსებობს, რასაც ჩვენ არ ვიცნობთ, არ გვაგვიგონია და, მაშასადამე, იმაზე ამ ჟამად არც ვლაპარაკობთ.



**სერგო ივანესძე თვარაძე.**

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, მოკლული ადერბეიჯანთან ბრძოლის დროს მაისის 5, წითელ ხიდს გაღმა.

(წერილი იხ. „თ. და ც." № 18).

ამგვარად ერი-მსოფლიოში გარკვეულ ერთეულს წარმოადგენს და არავითარ კერძო პიროვნებათა და ერთა ზრახვებს არ ემორჩილება, სანამ მას თავდაცვის უნარი შესწევს, სანამ თვით არ იტყვის თავი ყოფნა-არყოფნის უკანასკნელ სიტყვას.

ყოველი ერი მოვალეა მსოფლიოს წინაშე თავგამოდებით დაიცვას თავისი არსებობა, არა მარტო თავის სიცოცხლის შესანახად, არამედ მან უნდა შეუნახოს თვით მსოფლიოსაც თავის თავი, როგორც იშვიათი, ძვირფასი მარგალიტი, რომელიც შეადგენს სიმდიდრეს და რომელიც თუ ერთხელვე ჩაიღუპა ცხოვრების ქარიშხალსა და ატეხილ ზღვათა ტალღებში, მისი ხელახლა პოვნა-აღმოჩენა შეუძლებელია და ყოველი მაზე თქმა და ჯიება უსარგებლოა და უშედეგო.

თუ ამ შემთხვევაში, ამ აუცილებელ თავდაცვის დროს ვინმე მოაწადინებს რაიმე ანგარებით, წინასწარ განზრახვით, მისკენ მტაცებლურ ხელის წაპოტინებას, ასეთი ანგარების შავი შემოქმედი არღვევს არა მარტო ერის, არამედ მთელი მსოფლიოს ტკბილ ჰარმონიას, ჰქმნის ერთფეროვან სიმახინჯეს და ამით ის სჩადის დიდ გამოუსყიდველ საისტორიო ცოდვას.

ყოველი ერი უნდა არსებობდეს თავის ბუნებრივი შემოქმედებითი სახით, მსოფლიოსთან თავისუფლად და კავშირებული და არა სადგური მხეცთა და მტაცებელთა; მას არ უნდა ეფიქრეაოდეს თავის სიპატარავის, თავის სისუსტის და არც თავის სიდიდით და ძლიერებით უნდა ცდილობდეს მზისა და მიწის ბრუნვის შეჩერებას ან უკუღმა შეტრიალებას, რაიც მას უფრეს შეარცხვენს, დაამცირებს და არ კი განადიდებს.

ეს მუდმივი თავდაცვის დიდი ნიჭი და უნარი არ დაუკარგავს ჩვენს ერს მრავალ ათას წელთა განმავლობაში; მან არსებობის შესანარჩუნებლად თავისი ძვლები უხვად ჩაყარა ზღვასა და ხმელზე, ბარად და მთების მწვერვალებზე, უდაბურ ტყესა და ველზე და ასევე იცავს დღესაც, ასეთივე გულუხვობით, რაინდული თავდადებით აპოხიერებს თავის სამშობლოს ნიადაგს, სადაც უნდა წარმოიშვას ახალი სამემკვიდრეო თავისუფალი სიცოცხლე. ამით იგი აკეთებს არა მარტო თავის წმინდა ეროვნულ საქმეს, არამედ საერთო—საქვეყნოსაც.

დღევანდელ ქაოსით მოცულ და ჯანყიან დროს, როცა ყოველი კითხვა კერძოდ ეროვნული თუ მსოფლიო-საკაცობრიო დანისლულია და დაბნელებული, სწორედ ასეთი ერთსულოვნება და თავგანწირვაა საჭირო, რომ წარმოიშვას ხანგრძლივი მშვიდობიანობა ერთა თანასწორობის და სოციალიზმის დასამყარებლად.

მაგრამ ამით არ თავდება საზოგადოთ ერთა არსებობის საკითხი. თავდაცვა ბუნების აუცილებელი მოვლენაა. იგი მას დასჭირდება თვით თოფ-ზარბაზანთა დაქანგების და მოსპობის შემდეგაც, ე. ი. თვით სოციალიზმის მეუფების დროსაც, და შეიძლება უფრო დიდი და ფართო საზომითაც. ესე იგი მაშინ, როცა ერთა თავისუფალი შეჯიბრება და კულტურული შემოქმედება დაიწყება, როცა ერი ერს გაუთანასწორდება და კაცი კაცს უფლებრივად, ხოლო თვითეული მათგანი დაიჭერს მსოფლიოში ალაგს თავის უნარისა და შემოქმედების კვალად. და, ვაი, იმ ერს, რომელიც სხვისი ხელისა და ჭკუის შემჩერვალე იქნება!..

ჩვენი ერი დღეს პირველი გამოცდის საფეხურზე დგას; ეს დღეს პაწარა დავითია, რომელიც გოლიათებთან იბრძვის; მან უნდა გაიაროს სხვა აუცილებელი საფეხურებიც, ისეთივე შეუდრეკელობით და სისწორით, როგორც პირველი და გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება.

ამის უტყუარი ნიშანი უკვე სჩანს და ჩვენ თამამად შეგვიძლია ერთი მეორეს მივესალმოთ:

—გამარჯვება—გაგიმარჯოს!..

ა. ჭელიძე

# წაუშლელი თარიღი

(26 მაისი)

რა კარგია მაისი -
ოცდა ექვსი მაისი,
ჩემი ერის მშვენება,
ჩემი ერის ხალისი!..
რა კარგია რა კარგი..
ტურფა, ლალი ფაიზი,—
დღეს მზის სხივით დათვრება
ბილილა და ნარგიზი..
ეს დღე წინსვლის დღე არის,
დღე ვარდებით ნაქარგი..
ამ დღემ ჩემს ერს აჩუქა
საუკუნით ნაჭარგი.
ეს დღე მუდამ იქნება
საქართველოს ხატებად,
ახალ ყოფნის სიმბოლოდ,
წინსვლის ჭეშმარიტებად...
და იცოცხლებს, იცოცხლებს—
ოცდა ექვსი მაისი—
ჩემი ერის მშვენება,
ჩემი ერის ხალისი...

დ. ჭანჭათელი.

# ხაშმელი გვარდიელები აზერბეიჯანთან ომში



გ. შავკაციშვილი. პ. შავკაციშვილი. ნ. ოღრაპიშვილი. ბ. ოთიაშვილი. ა. ყიფიანი.
(დაჭრილნი) (მოკლული) (დაჭრილნი)
ვსთხოვთ სხვა კუთხის გვარდიელთა სურათებიც მოგვაწოდონ.

# დედავ იცოცხლე!..

(ფშაურ ჰანგზე)

გერგეტზე ამაემართა საქვეყნო ბედის ბორბალი,
ფთან გაუმაჰკიდნა სვეტადა, დაშალა ცეცხლის ხორბალი...
უნახავ დედა არწივსა,—მთა მთაზე წამოქცეული!—
ამირან დაზეზებულა, ყრმა დარეჯ ნისეული.
ატირებულა ყორანი, სისხლის ლილარი ჰქონი,
ბორკილთა რკინა, ნალეწი, გმირის ძვალები ჰგონია...

* * *

მტერს დრო-ჟამ გამეეცვალა, ზაფხული ექცა ზამთრადა,—
გასტეხა ბედი ქართველმა, ქარს გაატანა ნამქრადა
და გამარჯვება სამშობლოს გარს შემოარტყა ზანგრადა.
„ამართა დროშა მძლეველი“, აყვავებული სამ-ფრადა;
თავზე დაადგა გვირგვინი, ჯილა, ზეცამდე მიწვდილი
და ეტყვის: „დედავ, იცოცხლე! შენთვის გათავდა სიკვდილი!“

ბასილ ხოშარელი

* * *

(საქართველოს დამოუკიდებლობის 2 წლის შესრულების გამო)

ადსდგა გმირი! ერის დროშა მტკიცე ხელით ზე ასწია,
შუბ-აბჯრით შეიმოსა, მტერსა რისხვით მიესია;
მისი ხმა ქუხს, ხმალი ელავს და გადადის მტრიდან-მტერზე
ცეცხლის რკალი გაიშალა, გადისროლა მეხით-მეხზე.
მზე უცინის და სხივები ოქროს ბურთებს სტყორცნის ნაზად,
თავს გვირგვინი მოუქარგა, ძარს ედემი ფაინდაზად.

დე, დაჰქროდას ქარიშხალმა, ქვა-ყორნებიც გაჰკიოდენ,
უდრეკ ტყეშა მგელთა ხროვა ირაზმორევით დაუმუოდენ;
დემ გველთაც ისისინონ, თვისი შხამის დასანთხევად,
ზღვამ ტალღები აზვირთოს, სადი კლდისა დასანგრევად—
ხელს ვინ დარევს გმირთა-გმირსა, რაკი დაწყდა ჯაჭვნიმისი,
რკინის მკლავით გამოსჭედა თვისი აწმყო და მერმისი!..

იმერელი ქალი

# ორი წელი თავისუფლებისა

მაგონდება ის დრო, როდესაც საქართველო დიდ რუსეთის მიერ დატყვევებული, მისგან დამოკიდებული და მის კლანჭებში შებორკილი, სულიერად და ფიზიკურად იჩაგრებოდა.

— რას შვრებოდა ამ დროს ქართველი ერი? საითკენ მიისწრაფოდა მისი აზროვნება?

ნუ. თუ მას გულს არ უკლავდა სამშობლოს ასეთი მდგომარეობა და არ ელტვოდა მის ბრწყინვალე მომავალს?

დიაღ! ქართველი ერი ვერ შერიგებოდა საქართველოს ასეთ გარემოებას. იგი გამალებით ეტრფოდა მის განთავისუფლებას, მისი ერი მზად იყო შესწირებოდა მის კალთებს მისთვისვე ბრძოლაში.

მაგრამ მას თავის საკუთარ უფლებების, თავისუფლების მოსაპოებლად არ მიუმართავს ძალდატანებისთვის რუსეთის საწინააღმდეგოდ.

ქართველი ერი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ისტორიის აუცილებლობა თავისას გაიტანდა და საქართველოც მოიპოვებოდა, ისტორიის მიერვე, დამოუკიდებლობას.

სულ სხვა გზით წარმოებდა ბრძოლა ქართველ ხალხის მიერ მშობლიურ თავისუფლებისათვის.

ცნობილია, რომ რომელიმე ქვეყნის ლიტერატურა და მწერლობა გამომხატველია ეროვნული სულისკვეთებისა, მასშია ჩახვეული ხალხის ჭირი და ლხინი, მისი სულიერი განცდანი.

და სწორედ ამ მისწრაფებას, ტრფობას თავისუფლებისადმი ჩვენ ვპოვებთ ქართულ ლიტერატურაში, ქართულ აზროვნებაში.

გავიხსენოთ სამოციანი წლების პოეტები და მწერლები და ნათლად დავინახავთ, თუ რა სწყურია იმ ერს, საიდანაც ეს პირები გამოსულან.

ეს მოღვაწენი ნათლად ხედავდენ საქართველოს მომავალს, გათვალისწინებული ჰქონდათ მისი ბრწყინვალე მყოფადი და ხმა მაღლა ღაღადებდენ მტრების საყურადღებოთ:

„აო მომკვდარა! მხოლოდ სძინავს!..
და ისევე გაიღვიძებს!..
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს!..*)

ამ ხანის მწერლები განიცდიდენ უკიდურეს სულიერ ტანჯვას, და ეს ტანჯვა იყო არა მარტო მათი, არამედ ეს ტანჯვა იყო მთელი ქარველი ერის გულისა.

აკაკიმ, ილიამ და სხვამ, ვით გაზაფხულის მერცხლებმა იწინასწარმეტყველეს საქართველოს ასეთი გამარჯვებით დაგვირგვინება და ასეც მოხდა!..

დღეს ჩვენ პირის-პირ ვდგევართ თავისუფალ საქართველოს ორი წლის ისტორიის წინაშე. ამ აქეთ ერთის მხრივ გამართლდა ისტორიის აუცილებლობის კანონი და მეორეს მხრივ საფსებით გამართლებულია ქართველ მწერალთა მოძღვრება.

ბედნიერია დღეს ქართველი ერი, რომელსაც თავის საკუთარი ძალებით, თავის საკუთარი სისხლით უხდება თვის დამოუკიდებელ ცხოვრების განმტკიცება და ეროვნულ კულტურის განვითარება.

და დღეს ჩვენ იმედიანათ შევყურებთ საქართველოს ბრწყინვალე მომავალს! **მიშა მახვილაძე**

*) აკაკის ლექსი „ავადმყოფი“

# მტერ-მოყვარეთა სასმენად

დღევანდელ არეულ ვნებათა და პოლიტიკურ ქაოსში, როდესაც კაცთმოყვარეობა და ადამიანობა დაცინვის იდეალად გადაქცა, ქართველი ხალხი, რომელიც კაცთმოყვარეობის მატარებელია, განკერძოებულ ალაგს იკავებს.

იშვიათთა ისტორიით გაბედნიერებულ ერის შვილი, რომ ჩვენში ბუნების მშვენიერება და ადამიანის მასპინძლობა არ ენახოს.

იშვიათია ისტორიით გაუბედურებულ ერის შვილი, რომელიც მტრისაგან დასალუპად, განწირული ქართველ ხალხს არა გადაერჩინოს, არ მოეწმინდოს ცრემლი და სევდა ღიმილით არ შეეცვალოს.

და, ბოლოს, იშვიათია ჩვენ ყველანაირი სტუმრებში სტუმარი, რომელსაც გულწრფელი მადლობა ეთქვას.

და საქართველოს დასამაჩების სურვილი—ხო მათი ოცნებაა.

სტუმრები და მეზობლები თეთრი კბილით, სუფთა ხელით გვესალმებიან, შავი გულით-კი შავ ზრახვებს ისახავენ.

ხოლო ჩვენი დემოკრატია თავგამოდებულ ბრძოლით და მუშაობით სპილენძის ხელით მიუძღვნის სალამს და თავის თეთრი გულით უმოძღვრებს თეთრ მცნებას— ერთა სოლიდარობას.

იგი არ კმარობს თავის სამშობლოს კეთილდღეობას, მისი ნატვრაა: ინტერნაციონალი.

პასუხი? იუდას ამბორი!

მახლას!

მაგრამ ისტორია სამართლიანია.

ბოროტ და მჩაგრელ ერს სასტიკად სჯის.

ხოლო კეთილ ერს სიხარულს უმატებს.

და კვლავ ჩვენ მიერ გახსენებული თეთრი გიორგი დარაჯად გვიდგია...

მწარეა მტრისთვის მისი შუბი.

რაც მეტი წელი გადის ჩვენი დამოუკიდებლობისა, მეტი სიხარული და ძლიერება გვემატება.

ბოროტი სახელმწიფონი კი ინგრევიან.

ისხლის მელნით ჩაეწერნენ ისტორიის ფურცლებზე სამშობლოს დაღუპულ გმირების სახელები.

ცოცხლად დარჩენილ გმირებს-კი მედგრად უკავიათ თეთრი გიორგის დროშა.

ძნელია მისი წართმევა.

უფრთხილდენ თეთრ გიორგს! **სვ. წერეთელი**

# ერის ზეიმი

თუ მე გუშინ სევდისაგან გული მქონდა დასერილი, და შენს კალთებს, ცეცხლით დამწვარს, ცრემლით ვბანდი, ცრემლით ვრწყავდი, —დღეს შორს არის ჭმუნვარება: ზეიმს იხდის ჩემი ერი და მის კალთებს, მწვანით მოსილს, მე ულოცავ ერის ქორწილს...

თუ მე გუშინ შავი ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა, და მოწყენით გავყურებდი ჯანყით მოცულ ერის წარსულს, —დღეს შორს არის სევდა—დიქრი: როს აყვავდა მინდორ-ველი, ტყვეობიდან თავ-დახსნილი ზეიმს იხდის ჩემი ერი!.. **შალვა გომართელი**

**რედაქციისაგან**. ტეხნიკური მიზეზით ეს ნომერი კანით ვერ გამოვიდა.

რედაქტორი **იოსებ იმედაშვილი**

გამომცემელი **ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა**

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.